

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ დავით უსუფაშვილს

11570  
ქ. 06 2/5 8

ბატონო დავით,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა დროის მოწვევის ყოფილი დეპუტატები კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ღრმა პატივისცემას პირადად თქვენდამი და მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.


ამავე დროს გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ერთ-ერთ მწვავე პრობლემაზე, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის არც შესწავლილი და მითუმეტეს არც გადაწყვეტილი. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, სახეზეა დისკრიმინირებული სიტუაცია მოქალაქეთა შრომითი, საზოგადოებრივი და სოციალური აქტივობის შეფასების თვალსაზრისით. შედარებისათვის თვალსაჩინოა საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატებისა და დღევანდელი პარლამენტის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის ფაქტიური მდგომარეობა. როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს პარლამენტის წევრებს, ყოფილი საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს დეპუტატებისაგან განსხვავებით, უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ენიშნებათ პენსია 560 ლარის ოდენობით, ხოლო ყოფილ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს კი მხოლოდ ასაკობრივი პენსია, ე.ი. 150 ლარი.

საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისთვის გაუგებარია საბჭოთა პერიოდის უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს დეპუტატები და სხვა სახელმწიფო ორგანოების დამსახურებული მუშაკები, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში, რატომ არიან იგნორირებულნი და რატომ დარჩნენ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში? მიგვაჩნია, რომ მათ მიმართ ასეთი დამოკიდებულება არასამართლიანია.

სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში და პოსტსაბჭოთა ყოფილ რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით, არ გამოუჩენიათ ასეთი უსამართლო დამოკიდებულება დამსახურებული ადამიანებისა და მითუმეტეს საკანონმდებლო ორგანოების დეპუტატების მიმართ. ყველა მათგანი წარსულში მათი დამსახურებისა და ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილის მიხედვით უზრუნველყოფილია პერსონალური პენსიით და სხვა სოციალური შეღავათებით.

სამართლიანობის თვალსაჩინო მაგალითად თუნდაც გერმანია გამოდგება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანების შემდეგ. გერმანიის ყველა მოქალაქე, მათ შორის, ყოფილი დეპუტატები ერთ სამართლებრივ ელში მოექცნენ და ფუნქციონალურად ერთნაირი პროფესიისა და წარსული საქმიანობის ყველა მოქალაქე, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა და აღრე დაკავებულა თანამდებობისა თანაბარი უფლებებით წარგებლბუნ გამოიკვლინი შეადგენენ მხოლოდ კრიმინალური თუ სხვა სახის დამნაშავე პირები. მათ მინდვიდუალურად სამართლებრივი გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ დადგენილ შეღავათებს.

ვაყენებთ რა საკითხს საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატებისათვის კომპენსაციის დანიშნულ შესახებ ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის



მოსახლეობის მიერ ნდობით აღჭურვილი დღევანდელი ხელისუფლება წერტილს დაუსვამს საზოგადოების უფროსი და უმცროსი თაობების რთლისა და ადგილის შეფასებისას ადრე დაშვებულ შეცდომებს და შეეცდება სოციალური სამართლიანობის აღდგენას.

დარწმუნებული ვართ, რომ მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტის რეკლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად გაახლეობთ საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც მოიცავს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტს, განმარტებით ბარათს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის იმ მუხლის სრულ რედაქციას, რომლებშიც გათვალისწინებულია ცვლილების შეტანა (იხ. დანართი 5 ფურცელზე).

უღრმესი პატივისცემით და თანადგომის დიდი იმედით, საქართველოს უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატების სახელით:

ვილენ ალაგიძე - საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ღირსების ორდენისა და მთავრობის სხვა მრავალი ჯილდოს კავალერი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიოს მშვიდობის ელჩი.

თენგიზ უზანეიშვილი - საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, პროფესორი, რიგი დარგობრივი სამეცნიერო აკადემიის წევრი, მთავრობის მრავალი ჯილდოს კავალერი.

გივი აბზიანიძე - საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მთავრობის არაერთი ჯილდოს კავალერი.

ნელი გურგენიძე - საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს არაერთგზის მოწვევის დეპუტატი, ღირსების ორდენისა და მთავრობის სხვა მრავალი ჯილდოს კავალერი, ა/ო „საქართველოს ქალები - მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საერთაშორისო ასოციაციის თანათაყვოდომარე.

ჯემალ კუხალაშვილი - საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, არაერთი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

გურამ გუნავა - საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

რაზმაზ გოგლიძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი, საქართველოს ბეისბოლის ფედერაციის თავმჯდომარე.

ირაკლი მოწერელია - საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

კლიმენტი (ბიკიკო) ჯანჯღავა - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, არაერთი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

Handwritten signatures and initials in the left margin, including names like ვილენ, თენგიზ, გივი, ნელი, ჯემალ, გურამ, რაზმაზ, ირაკლი, კლიმენტი.



რაულ ჯახია - საინჟინერო-ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ნონა გაფრინდაშვილი - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს არაერთგზის მოწვევის ყოფილი დეპუტატი, მსოფლიოს ხუთგზის, თერთმემტი გზის ოლიმპიური და ოთხგზის სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის და მრავალი სხვა სამთავრობო ჯილდოს კავალერი. ა/ო „სახალხო კრების“ თავჯდომარე.

მაია ჩიბურდანიძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მსოფლიოს ხუთგზის, არაერთგზის ოლიმპიური და სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

კარლო გარდაუხაძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს შვიდგზის მოწვევის დეპუტატი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი - 78 წლის სამუშაო სტაჟით, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენისა და მრავალი სხვა სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ნათელა ვასაძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, აკადემიკოსი, საქართველოს პედაგოგიურ-მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ომარ კვიციანი - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, საქართველოს საამშენებლო-საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, დამსახურებული მშენებელი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ადერკინ ქრისტაძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს არაერთგზის მოწვევის დეპუტატი, შრომის ვეტერანი - 70 წლის სამუშაო სტაჟით, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების პენსიონერთა რესპუბლიკური საბჭოს მოქმედი თავჯდომარე, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

თემურაზ (თემურ) ჩხეიძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ირაკლი ჟორდანიას - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს არაერთგზის მოწვევის ყოფილი დეპუტატი, აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სწავლულნი მდივანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

ნიკოლოზ (ნიკა) ცხაკია - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს ყოფილი დეპუტატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სააქციო საზოგადოება „საქსამთოქიმიის“ გენერალური დირექტორი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი.

შოთა ჭავჭავანიძე - საქართველოს სსრ უმაღლესი (უზენაესი) საბჭოს არაერთგზის მოწვევის ყოფილი დეპუტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის დაჯილდოებული სამეცნიერო-კვლევითი ჯილდოს კავალერი.

